ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.19
0186 თბილისი, საქართველო

ს/ს ენერგო-პრო ჯორჯია
O.№ 2360138
„16" 11 2022
JSC ENERGO-PRO GEORGIA

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას

გვინდა მოგახსენოთ, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში ელექტრომომარაგების კუთხით არსებული ნეგატიური სურათი არ შეცვლილა და კვლავ პრობლემატური რჩება აღნიშნულ განაწილების არეალში საიმედო ელექტრომომარაგების, ქსელის სარეაბილიტაციო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებისა და გამანაწილებელ ქსელთან ახალი მომხმარებლების მიერთებების საკითხები, რაც გამოწვეულია აღნიშნულ განაწილების არეალში არსებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლების მიერ ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობით და ელექტროენერგიის მოხმარების არაგონივრული ზრდით, რომლის თაობაზეც მიმდინარე და გასულ წლებში გეცნობათ კომპანიის არაერთი წერილით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით, კვლავ ადგილი აქვს განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებას, რომელიც ხელს უშლის განაწილების ლიცენზიატს გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლების მიერთების/სიმძლავრის გაზრდის უზრუნველყოფის სამუშაოების შესრულებაში, კერძოდ, კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, დღეის მდგომარეობით მესტიის მუნიციპალიტეტში კვლავ მოუგვარებელია არსებული პრობლემები, კომისიის 2021 წლის 28 ივნისის #19 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესების" მე-18 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე მოგმართავთ თხოვნით, გაზარდოთ დანართში მითითებული ობიექტების გამანაწილებელ ქსელზე მიერთების/სიმძლავრის გაზრდის უზრუნველყოფის პერიოდები.

თუმცა, აქვე გაცნობებთ, რომ თუ ამ წერილში მითითებული პრობლემები ვერ მოგვარდა ზემოხსენებულ ვადაში, დანართში მითითებული ობიექტებისათვის ქსელზე ახალი მიერთების/სიმძლავრის გაზრდის უზრუნველყოფის სამუშაოების შესრულება შეუძლებელი იქნება, რის გამოც, კიდევ ერთხელ გთხოვთ, გაგვიწიოთ დახმარება ზემოაღნიშნული პრობლემების გადაჭრაში.

ამასთანავე მოგახსენებთ, რომ რაოდენობიდან გამომდინარე, წერილის მატერიალური ფორმის ნაცვლად კომპანია უზრუნველყოფს განმცხადებლებთან მოკლე ტექსტური შეტყობინებებისა და შესაბამისი ლინკის (სადაც შესაძლებელია წერილის ელ. ვერსიის ნახვა) მეშვეობით სათანადო ინფორმაციის მიწოდებას.

გთხოვთ, განიხილოთ მოცემული საკითხი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი: 1 (ერთი) “Excel” ფაილი.

პატივისცემით,

ილია მათიაშვილი

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს წარმომადგენელი

შემსრ.: ლაშა ფოფხაძე
ტელ: 577-35-10-11;

| # | IFS პროექტის ნომერი | კანცელარიის ნომერი | პროექტის დასახელება | მიერთების ტიპი | მოთხოვნილი ძაბვის საფეხური | არსებული სიმძლავრე | მოთხოვნილი სიმძლავრე | განაცხადის მიღების თარიღი | ქსელზე მიერთების გეგმიური თარიღი | Identification #: | Phone | Contact Address |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | DDNA2EL680 | 8960087 | შპს "ვიონი საქართველო" | ახალი მიერთება | 0,38 | --- | 10 | 14.09.2022 | 09.12.2022 | 204450584 | 597970134 | მესტიის რაიონი; მესტიის სატყეოს უბანი, კვარტალი 35, ლიტერი 19 |
| 2 | DDNA2EM520 | 8964334 | შპს "სუფთა სახლი" | ახალი მიერთება | 0,22 | --- | 10 | 26.09.2022 | 21.12.2022 | 202458893 | 598368360 | მესტიის რაიონი; დაბა მესტია, ბეთლემის ქუჩა N1 |
| 3 | DDNA2EN581 | 8973251 | სსიპ "გარემოს ეროვნული სააგენტო" | ახალი მიერთება | 0,22 | --- | 10 | 17.10.2022 | 11.01.2023 | 204559691 | 577380100 | მესტიის რაიონი; სოფ. ბეჩო, "მაზერი" |
| 4 | DDNA2EN582 | 8973256 | სსიპ "გარემოს ეროვნული სააგენტო" | ახალი მიერთება | 0,22 | --- | 10 | 17.10.2022 | 11.01.2023 | 204559691 | 577380100 | მესტიის რაიონი; სოფ. ჟიბიანი |
| 5 | DDNA2EO551 | 8980628 | შპს "აკვაჰიდრო" | ახალი მიერთება | 0,38 | --- | 30 | 02.11.2022 | 30.01.2023 | 443860252 | 591401000 | მესტიის რაიონი; სოფ. ნაკრა |
| 6 | DDNA2EO920 | 8982461 | შპს "ლილატ" | სიმძლავრის გაზრდა | 0,38 | 10 | 50 | 07.11.2022 | 02.02.2023 | 435894427 | 595502031 | მესტიის რაიონი; დაბა მესტია, ადგილი "კახშიანი" |